




ამ მუდამ ხალხმრავლობა: მუშაობენ აგითათორები, საარჩევნო კომისიის წევრები, ამომრჩევლები ახალ მასალებს ეცნობიან.

თბილისის განათლების სამმართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ცენტრალურ სატანგარში სკოლაში № 28 საარჩევნო უბანია მოწყობილი. აქვეა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების განაშის სახელობის № 45 საარჩევნო ოლქი, სადაც შედიან 157-ე, 158-ე, 159-ე, 160-ე, 161-ე

და 162-ე ოლქები. უბნის აგითათორები ყოველთივეს დროულად ლეზულობენ აგითათორების გამგის უზანგი ღონისძიების, პარტორგანის მდივნის კუკური გამრეკელაშვილისა და საარჩევნო კომისიის მდივნის გულნარა ხუტაშვილის კონსულტაციებს...

ბ. დოლენჯაშვილი.

სურათი: აგითათორები — ტანვარჯიშული სკოლის პედაგოგები თავიანთ უზნებზე გასვლის წინ.

ავტორის ფოტო.



არჩევნული გიგლირთვა

პროლეტარებო ყველა ჯიშისა, შეერთდით!


№ 26
(6587)

1980 წ.
თავისუფალი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов



აგითათორები მოსკოვის ოლიმპიადისთვის

„შავინარჩუნოთ ოლიმპიზმის სულიცხეთა“

ალათბურთის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის (ფედა) ხელმძღვანელობამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ლორდ კილანის გაუგზავნა განცხადება, რომელშიც მოიხსენიება ფედერაციის აზრი მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ჩაშლის მცდელობაზე.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს მხოლოდ იქ, სადაც სოკ-მა მისი ჩატარება გადაწყვიტა. ამრიგად, არსებული განცხადების თანახმად, XXII ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს მოსკოვში და არსად სხვაგან. ფედერაცია გადაჭრით აკრიტიკებს

სპორტში პოლიტიკური ჩარევის ყველა ფორმას, ნებისმიერ ცდას გამოიყენონ სპორტი პოლიტიკური დაწოლის იარაღად. ფედა-წინააღმდეგაა მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისა, რომელმაც შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას ოლიმპიური თამაშების არსებობას, იგი ეწინააღმდეგება ოლიმპიური მოძრაობის ერთიანობისა და მეგობრობის სულისკეთებას.

მიუხედავად
**პოლიტიკური
დაწოლის
წინააღმდეგა**
შრანაშორის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პოლიმომ (საფრანგეთი) მკაცრად გააკრიტიკა ის ძალები, რომელთაც სურდათ ჩაეშალათ ოლიმპიზმი.

პიური თამაშები მოსკოვში. ყურნალისტებთან საუბარში მან თქვა:

— სპორტი ემსახურება ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეს და ამ მხრივ ოლიმპიური თამაშები განუმეორებელია: ისინი ხომ თავისი დროის ქვეშ თავს უყრიან ყველა კონტინენტის ახალგაზრდობას. განა შეიძლება სპორტის გამოყენება წმინდა პოლიტიკური მიზნით?

სანამ მე ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ვარ, სპორტსმენთა ინტერესებს დავიცავ. ჩვენი ფედერაცია მუდამ იბრძოდა იმისთვის, რომ თამაშებში რაც შეიძლება მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს გასაზრდებოდა. ახლაც ეს ამოცანა დგას ჩვენს წინაშე. აი, რატომაც რომ ვეწინააღმდეგებით პოლიტიკურ დაწოლას და ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ, ვინც მოინდომებს პლანეტის სპორტსმენთა რიგების გათიშვას.

ბარიზი.
**„თამაშებით არ
პაჭროვან“**
იტალიის უდიდესმა სპორტულმა გაზეთმა „გაეტა დელო სპორტმა“ დაბეჭდა ინტერვიუ ამ ქვეყნის წარმომადგენელ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთან.

შორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთან აქულო ონესტისთან. — როგორც სოკის წევრი, თქვენ 1948 წლის ოლიმპიური თამაშების მოწვევ იყავით. როგორია თქვენი აზრი მოწოდებაზე მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩაშლის თაობაზე?

— თამაშები არასოდეს ყოფილა და არც იქნება პოლიტიკურ თამაშში „გასაცვლელი საქონელი“. არ შეიძლება ოლიმპიური იდეალებით ვაჭრობა, როგორც ამას ცდილობს გაშინგტონი. ოლიმპიური თამაშები ხომ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ზეიმი.

— შეძლებენ თუ არა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და მსოფლიო ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები წარმატებით აღუდგენენ წინ ბოიკოტის იდეას?

— ვფიქრობ, შეძლებენ! რაღაც უნდა დაგიჯდეს, აუცილებლად უნდა ავიცილოთ საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის გათიშვის საფრთხე. ეს ხომ ძმობის, ერთიანობის ყველაზე დიდი ზეიმი. ამას უნდა ჩაუფიქრდნენ ისინი, ვინც ცდილობენ წაართვან ახალგაზრდობას შეხვედრების, შეჯიბრების, მეგობრობის ასეთი იშვიათი შესაძლებლობა.

● შავინარჩუნო


ბრძოლა განახლდა

რიბა, 6 თებერვალი (დებუში, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატში ერთდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ გაიმართა IX ტურის შეხვედრები.

საქართველოს ჩემპიონმა გ. ზაჩიკმა სძლია ე. ვლადიმეროვს (ალმა-ათა), რომელსაც ინგლისურ დასაწყისში ორი პირი მოუგო. დამარცხდნენ ზ. აზმაიფარაშვილი და მ. ჩიბურდანიძე. პირველმა ს. ლუტიანთან (ერევანი) ლაზერის გამბიტთან მოსაგები პოზიცია მიიღო, მაგრამ შეცდა. ჩიბურდანიძემ შავებით ძველინური დაცვა გაითამაშა ზ. ეინგორის (რიგა) წინააღმდეგ და მძაფრი იერიშის ქვეშ მოჰყვა.

ა. ივანოვმა (ლენინგრადი) მოუგო ვ. ჩეხოვს (მოსკოვი). ე. მაგერამოვმა (ბაქო) — ბ. გაეროკოვს (მოლდავეთი). ყაიშე შეთანხმდნენ: ი. პოლოვოდინი (ლენინგრადი) — ა. ხარტოვოვთან (გორკი) და ზ. ლანკა (რიგა) — ლ. იურტაევთან (ფრუნზე).

9 ტურის შემდეგ ე. კენგის (რიგა) 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ე. ვლადიმეროვს. ზ. ეინგორს — 5,5-5,5, ზ. აზმაიფარაშვილს, ა. ხარტოვოვს — 5-5.



● ტაშის სროლა რაქორდი გაიმყორა

ლენინგრადის ჩემპიონატში არმიელმა ე. უტრობინმა „გაქცეულ ტახტზე“ სროლაში 600-დან 581 ქულა მოაგროვა და მსოფლიოს რეკორდი გაიმყორა.

● ფეხბურთი

ახალგაზრდული ნაქარბის მაჭჩი

გუანო-პირასი, 6 თებერვალი. სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა კიდევ ერთი ამაზნაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა არგენტინაში. მან ანგარიშით 2:1 (1:0) დაამარცხა როსარიოს პროვინციის ახალგაზრდული ნაკრები. ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა მელიქიანმა, შესვენების შემდეგ გულშეკრება მეორე ბურთი მოთავსა მოწინააღმდეგის კარში, ხოლო 63-ე წუთზე მასპინძლებმა გაქციეს ერთი გოლი (პალმა).

● ქიშლო XI ტრადიციული...

დღეს სპორტის სახალხო XI საერთაშორისო ტურნირი ჰიდაობა ძიულში.

ოთხი დღის განმავლობაში ორ ტაშზე გამარჯვებულის სახელისთვის ერთმანეთს შეეცლება 16 ქვეყნის მრავალი საუკეთესო ბიულდისტი. სტუმართა შორის იქნებიან იაპონელი, ფრანგი, გერმანელი, პოლანდიელი, იტალიე-

ლი, ფინელი, უნგრელი, პოლონელი და სხვა ეროვნების სპორტსმენები. სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრებები რამდენიმე გუნდით იასპარეზებენ.

მკითხველს შევახსენებთ შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულებს: ა. ემიტი (სსრკ 60), კ. ხარა (იაპონია, 65), ტ. ნისიდა (იაპონია, 71), ა. წიკლური (საქართველო, 78), დ. ბოდაველი (სა-


ქართველო, 86), რ. ხარშილაძე (საქართველო, 95), ე. ეფრემოვი (სსრკ, მიმდგ), თ. ხუბულური (საქართველო, აბსოლუტური).

● გუშინ

სასტუმრო „აქარაში“ გაიმართა ტურნირისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია, საქართველოს სპორტკომიტეტის ჰიდაობის სამმართველოს

ველოს უფროსმა ვ. უდენტმა შეკრებულთ წარუდგინა ტურნირის მონაწილენი. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, მიუნენის ოლიმპიადის ჩემპიონმა შ. ჩოჩიშვილმა და მთავარმა მდივანმა ბ. ტოკერმა ილაპარაკეს ტურნირის ფორმულისა და რეგლამენტის შესახებ. პრესკონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

დღის შეხვედრები დაიწევა 11 საათზე, საღამოსი — 18 საათზე.



ფიზკულტურა ჩვენს ყოფაში

ყურადღება, პირები პარკის!

სპორტი, ფიზკულტურა — სი-
ჯანსაღისა და სიმშენებლის, სილა-
მისა და ფიზიკური სრულყოფის
პირველწყაროა. ეს კომპლექსური
პარკა ხანია ყველა პარკის
აღმადგენლობის არის ცნობი-
ლი...

ფაბრიკა „ისანი“ ყოველი სა-
მუშაო დღისა ფიზკულტურით
იწყება. თვეში ერთხელ ეწყობა
აქ საწარმოო ტანჯარების მუ-
თოლორი საბჭოს (ხელმძღვანელი
— ლ. გაბაშვილი) ხელმძღვანელობით
— ლ. გაბაშვილი) ხელმძღვანელობით
— ზ. სალდუაშვილი, ა. მაისურაძე,
ზ. კოსტინა, ნ. რუდოვსკაია, ი.
ბობრივი და სხვები, უფროსი მე-
თოდისტი ე. გელდენიშვილის
უშუალო მითითებით ატარებენ
სამუშაო დღის პარკებს.

საწარმოში 12 სექცია (ფრენ-
ბურთის, კალათბურთის, თხზუ-
რის, ჰაერბურთის, მძლეოსნობის,
ტურნის და სხვა) მუშაობს.
— „გასული“ კიბის წითელი ხე-

თან მოაწოდებენ ტურისტული ლა-
შქრობის თხილამურებით, — გი-
მბობს ფაბრიკის უფროსი მეთო-
დისტი თანამშრომელი თ. ფილი-
პოვი, — ასეთი გასვლები უფ-
როსი სახალისო ხდის შრომასა და
დასვენებასაც.

ამ დღეებში დაბა ბაკუ-
რის რაიონში ტარდება რესპუბლიკური
პირველობის სათხილამურო სპორ-
ტში. ამ შეჯიბრებაში მონაწილე-
ობის მისაღებად 17 სპორტსმენი
გამგზავრა, ხოლო 8 მარტთან
დაკავშირებით დაგეგმილი აქვთ
ჩაატარონ ქალთა სპარტაკიადის
სპორტის 6 სახეობაში. ფაბრიკის
მონაწილე სპორტსმენებიც ჰყავს —
ი. რუტინა, ნ. თხილამური, ა. და-
თუნაშვილი, გ. ქუჩუაშვილი, ი. მა-
მედოვა, ს. იაკობიძე და სხვები.
ისინი, ცხადია, შრომის
მოწინავენი არიან.

ფაბრიკა „ისანი“ მუშა-მოსამ-
სახურეთა საერთო საცხოვრებელს
აქვს თავისი, ე. წ. მარტივი ტიპის
სპორტული ბაზა. აქვე გახსნილია

შპს, ჰაერბურთის, ფრენბურთის,
მავთლის წარმოების სექციები.
ასე რომ, მუშებს შესაძლებლობა
აქვთ უქმე დღეებში გაართმა-
დასვენება სპორტულ შეფარებაში.

სამუშაოები ერთმანეთს მშთ-
კომპლექსის ჩაბარებასა და საერ-
თო სპორტულ მომზადებაში გი-
მბობს. გასული წელს მაგალი-
თად, პირველი ადგილი მიი-
ღწერა სამუშაო დასახელებით.

ფიზკულტურის ფაბრიკის ფი-
ზკულტურული კომპლექსი მრავ-
ალგზის არის დაჯილდოებული
სხვადასხვა საპატიო სიგე-
ლით, თასებით, სპორტს-
მანერებთან „განთიადის“ გარ-
დასვლით ღირსებით, რომელ-
იც მესამე წელია მათთან ინახე-
ბა. ახლანდელი მათი საერთო
სპორტული მომზადება და მრ-
წეველი საკავშირო პროფკავშირის,
საკავშირო სპორტკომიტეტისა და
კომპარტიის (კერძოდ) კომ-
იტეტის საპატიო სიგელით აღი-
ნინება. ეს აღიარება, ცხადია, უფ-

რო ბევრს ავალბებს ფაბრიკის
მთელ კოლექტივს, მის ხელმძღ-
ვანებთან.

აქვე უნდა ითქვას, რომ ისეთ
სპორტულ საწარმოს, როგორიც
თბილისის ფიზკულტურის გაერ-
თიანება „ისანი“ შედარებით
უკეთესი სპორტული ბაზა უნ-
და ჰქონდეს. მართალია, ფაბრი-
კის ხელმძღვანელობას დაეგმი-
ლი აქვს ჩაატაროს ფრენბურთის
სა და კალათბურთის მოედნების
რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის
სამუშაოები, მაგრამ ფიზკულტურ-
ულ-სპორტული მომზადების უფ-
როსი მაღალი დონეზე დაყენების
თანამედროვე ტიპის კომპლექ-
სური სპორტული ბაზა საჭიროა.

და კიდევ ერთი, სამუშაოა, რა-
ც კავშირდება ყველა სამუშაო არ-
აბის რადიოფიზიკური, რაც
ხელს უშლის საწარმოო ტანჯარ-
ების ნორმალურად ჩატარებას.

მზია გადამავალი.

ს. ურ. ა. თ. ბ. ე. მიმდინარეობს
საწარმოო ტანჯარებში; შესვენე-
ბაზე.

ჯ. ლომიძის ფოტოები.



გვერდითხებიან, ვახსოვრებ...

თბილისელ ა. ბერუჩაშვილს, ზესტაფონელ შ. კიკნაშვილს, გო-
რელ მ. პაპიაშვილს, ბორჯომელ ნ. გოგოლაშვილს აინტერესებთ რას ნი-
შნავს მშთ-ს მოსამზადებელი და ძირითადი ჯგუფები, მშთ-ს საერთო
ფიზიკური მოსამზადებელი და ძირითადი ჯგუფები და რიგი სხვა სა-
კითხები.

მათი ცნობისმოყვარეობის დამაყოფილება ვთხოვეთ საქართველოს
სპორტკომიტეტის მასობრივი ფიზკულტურისა და მშთ-ს განყოფილების
უფროსს ბ. მძიმეშვილს.

ვაკვეყნებთ ამ კითხვა-პასუხს. ვფიქრობთ, იგი სხვა მკითხველების-
თვისაც საინტერესო იქნება.

კითხვა: რას ნიშნავს მშთ მო-
სამზადებელი, ძირითადი, საერ-
თო ფიზიკური ან ზოგადფიზიკურ-
ი და მშთ მრავალკუთხედის სასწა-
ვლო ჯგუფები?

პასუხი: მასობრივი-ფიზკულტურ-
ული მოძრაობის პრაქტიკაში
ფიზკულტურულ-სპორტული მუ-
შაობის ორგანიზაციის მრავალ-
მხრივი ფორმა არსებობს. ისინი
შეიქმნება გაერთიანდნენ სამ ძი-
რითად ჯგუფად: გამაჯანსაღებე-
ლი, სასწავლო-საწვრთნო და სა-
შეჯიბრო. ჯგუფურ და ინდივიდუ-
ალურ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში
მეცადინეობა რეკომენდებულია
მოსახლეობის ყველაზე ფარ-
გით ფენისთვის ასაკის, შრომი-
თი საქმიანობის სპეციფიკისა და
ფიზიკური მომზადების დონის
განვიხილოთ. მის ძირითად
ამოცანებს წარმოადგენს:

— განმარტობის განმტკიცება
და დავადების პროფილაქტიკა;
— ყოველმხრივი ფიზიკური გა-
ნვითარება, მოძრაობითი ფუნქცი-
ისა და შრომისუნარიანობის შე-
ნარჩუნება და ამაღლება;
— სპორტის მასობრივ სახე-
ობებში ძირითადი ტექნიკის ათვის-
ება, მშთ კომპლექსის ნორმატი-
ვების მომზადება და ჩაბარება;
— გამაჯანსაღებელი ჯგუფის ერთ-
ერთი ქვეჯგუფი წარმოადგენს სა-
ერთო ფიზიკური მომზადების სე-
ქცია (სფს). ზოგიერთი მას ზო-
გადი ფიზიკური მომზადების სე-
ქციას უწოდებს.

სფს არის გარდამავალი რგო-
ლი, ერთის მხრივ, გამაჯანსაღე-
ბელი მიმართულების ჯგუფისა
(გამაჯანსაღებელი რგონის, ქალ-
თა ტანჯარების, წრთობის, დი-
ლის გამაჯანსაღებელი ვარჯიშის)
და, მეორეს მხრივ, სპორტულ
სექციასში მეცადინეობის შრომის.
სფს-ში ერთი-ორი წლის მეცადი-
ნეობის შემდეგ მომეცადინეობი
ეცნობიან მათთვის პოპულარულ
და მისაწვდომ სპორტის სახეო-



ბას სხვა გამაჯანსაღებელ ჯგუფ-
ში.

სფს-ს სასწავლო გეგმაში შე-
იძლება შევიტანოთ მეცადინეობა
თხილამურებით, ტანჯარებში,
მძლეოსნობაში, ცურვაში, სროლა-
ში, ტურნისში, აგრეთვე ვარჯიშში
სპორტის არჩეულ სახეობაში,
მშთ მრავალკუთხედის — პროგრამით
შეჯიბრებებში. მონაწილეობა
სფს-ს მეცადინეობებში შეიძლება
იყოს ორჯერადი ან სამჯერადი.
ორჯერადი მეცადინეობის დროს
ერთწუთიანი სამუშაოების წელი-
წაღში 107-საათიანი პროგრამა
დგება. 2-წლიანი ჯგუფისთვის —
99-საათიანი, სამჯერადი მეცადი-
ნეობისა შესაბამისად 152 და
172-საათიანი პროგრამა. სფს ან
ჯგუფი იქმნება ფიზიკური კულ-
ტურის კოლექტივებში, კლუბებ-
ში, კულტურისა და დასვენების
პარკებში და საცხოვრებელი ად-
გილის მიხედვით. ჯგუფები კომპ-
ლექტდება მშთ კომპლექსის სა-
ფეხურების შესაბამისად სქესისა
და ასაკის გათვალისწინებით.

სფს სექციების და ჯგუფების
მეცადინეობის მთავარი ამოცანა
მშთ კომპლექსის ნორმატივების
ჩაბარებაა. ამ სექციებსა და ჯგუ-

ფებში მეცადინეობამ მოსწავლე-
ები კომპლექსის შესაბამისი სა-
ფეხურის ყველა ნორმატივი-
ბის მთლიან ჩაბარებამდე
უნდა მიიყვანოს. მათი შეს-
რულების შემდეგ წარმო-
ებს მშთ მრავალკუთხედს და სხვა
სახის შეჯიბრებებში სისტემატუ-
რით მონაწილეობისთვის მზადება
(რაც უკვე მშთ სასწავლო ჯგუ-
ფის ძირითად ამოცანას შეად-
გენს).

მშთ სასწავლო ჯგუფების რაო-
დენობა დამოკიდებულია ადგი-
ლობრივ პირობებზე (სათანადო
სპორტული ბაზის არსებობა), მო-
მეცადინეობის ასაკზე, მომზადებაზე,
მოსწავლეთა ან მომუშავეთა კონ-
ტინგენტზე. სასწავლებლების
ჯგუფებში შეიძლება გაერთიანდეს
25-30 ფიზკულტურელი. ჯგუფის
მეცადინეობის წლიურ გეგმაში სა-
სწავლო საათების რაოდენობა

სტროს ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის სასწავლო-მეთოდური
რესპუბლიკური ცენტრის მიერ
გამოშვებულ ბროშურაში „მშთ
კომპლექსის მრავალკუთხედი“).

კითხვა: მშთ კომპლექსის რა-
მელი საფეხურის ნორმების ჩა-
ბარება შეიძლება განმეორებით,
რამდენი ხნის შემდეგ და ითვლე-
ბა თუ არა გეგმის შესრულებაში?

პასუხი: მშთ კომპლექსის ყვე-
ლა საფეხურის ნორმატივები ბა-
რდება ერთხელ. მსურველს შეუ-
ძლია ნორმატივები განმეორებით
ჩაბაროს, მაგრამ იგი გეგმის შე-
სრულებაში არ ჩაითვლება. სსრ
კავშირის სპორტკომიტეტის 1979
წლის 31 იანვრის დადგენილების
მე-4 პუნქტში აღნიშნულია შემ-
დეგი განმარტება:

1. დადგინდეს მშთ IV და V სა-
ფეხურში სამწლიანი მოქმედების

ჯანმრთელობის მრავალმხრივი ფორმა

80-90-ს შეადგენს. მეცადინეო-
ბის სახეები ისეთივეა, როგორც
სფს-ში, იმ განსხვავებით, რომ
მეტე ყურადღება ექცევა მშთ
მრავალკუთხედის შეჯიბრებებში მო-
ნაწილეობას (5-6 შეჯიბრება წი-
ლიწად).

მშთ მრავალკუთხედში მომეცადინე-
ობა შეიძლება დაოსტატება წა-
რმოებს მშთ მრავალკუთხედის სექ-
ციებში. სექციის სასწავლო წლი-
ური გეგმა დგება მშთ მრავალ-
კუთხედის მომზადების გათვალის-
წინებით. მაგალითად, ქაბუთა
II თანრიგის ნიშნისთვის
სასწავლო პროგრამა 280-საათი-
ანია. ქაბუთა პირველი თანრიგის
ნიშნისა და მოზრდილთა მესამე
თანრიგისთვის — 320, მე-
ორე თანრიგისთვის — 466,
პირველთანრიგისთვის —
640, სპორტული სრულყოფის
ჯგუფისთვის — 780 საათი.

რაც უფრო მაღალი მომზადე-
ბისა ჯგუფი, მის შემადგენლობა-
ში უფრო ნაკლები მომეცადინეო-
ბაა. მაგალითად I და II თანრიგის-
ნების ჯგუფში შეიძლება იყოს
8-15 მომეცადინე (აღნიშნულ სა-
კითხს უკეთ გაეცნობით საქარ-
თველოს სსრ განათლების მინი-

ვალა და შეტანილი იქნეს ცვლი-
ლება მშთ საკავშირო ფიზკულ-
ტურული კომპლექსის დებუთ-
ების VII განყოფილების მე-13
პუნქტში შემდეგი რედაქციით:

„იმ პირობებში, რომლებშიც
მთლიანად შესაძლებელია მშთ კომ-
პლექსის IV და V საფეხურის ნო-
რმატივების შესაბამისი მოთხო-
ვნების ნორმები და მიიღეს შესა-
ბამისი ნიშნები, სამი წლის შემ-
დეგ, თუ ისინი მონაწილეობას
მიიღებენ მშთ მრავალკუთხედის შე-
ჯიბრებებში, უმტკიცებლათ მშთ
ნიშნის ტარების უფლება. მონა-
წილის მიერ შეჯიბრებებში ნა-
წევნებ შედეგები არ უნდა იყოს
მოცემული საფეხურის მინიმა-
ლურ ნორმაზე დაბალი“.

კითხვა: რომელია სწორი მშთ
თუ მშთ?

პასუხი: ამ საკითხზე დიდი და-
ვა იყო, რის საფუძველზე საქარ-
თველოს სპორტკომიტეტმა ოფი-
ციალურად მიმართა საქართვე-
ლოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
მიის ენათმეცნიერების ინსტიტუ-
ტის, ინსტიტუტმა გეოგნობა, რომ
სწორი იქნება ვიხმართ მშთ და
არა მშთ.

„საქმე“ მეცნიერული გაზეთი

მარშან ოქტომბერში შემდგო-
მა ორგანოებმა მიიღეს დადგე-
ნილება „რესპუბლიკაში სპორ-
ტის სამხედრო-ტექნიკური სახე-
ობების განვითარების თაობაზე“.

ამ ხნის განმავლობაში შესა-
ნედალ გაუმჯობესდა საქართვე-
ლოს დღისაფის ცენტრალური
კომიტეტის, პირველადი ორგანი-
ზაციების, სამინისტროებისა და
უწყებების მუშაობა. დღისაფელ-
მა სპორტსმენებმა სხვადასხვა შე-
ჯიბრებაში, სპარტაკიადებში მაღალ
შედეგებს მიაღწიეს, მოიპოვეს
უძელა ღირსების მედლები.

ცოტა დრო დარჩა წყალქვეშა
ცურვის ჩქაროსნულ სახეობებში
საკავშირო ჩემპიონატამდე, რო-
მელიც ლენინგრადში გაიმართე-
ბა. ამ საპასუხისმგებლო სტარ-
ტებისთვის მზადების მიზნით ჩვე-
ნი რესპუბლიკის ნაკრები, რომე-
ლიც დღისაფის სპორტსმენების
გან შედგება, ასპარეზობს სხვა-
დასხვა შეჯიბრებაში, ხევეს ოს-
ტატობას.

ახლანდელ საქართველოს დღისა-
ფის „წყალქვეშა მელეობა“ მონაწი-
ლეობა მიიღეს აზერბაიჯანის ლი-
ა ჩემპიონატში, რომელიც ამ რე-
სპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარებისა და აზერბაი-
ჯანის კომუნისტური პარტიის 60
წლისთავს მიეძღვნა.

ეს ასპარეზობა წარმატებით
გამოდა. ჩვენმა მოცურავეებმა
420 ქულა მოაგროვეს და გაიმარ-
ჯვეს არაოფიციალურ გუნდურ
ჩათვლაში. II ადგილზე გავი-
დნენ ბაქოელი არმელები
(382 ქულა), მესამეზე — კასპის
ფლოტილის სპორტსმენები
(224).

ჩემპიონი გახდა მარინე მაქა-
რაძე, რომელმაც 100 მეტრი ფარ-
გლებით ოსტატის შედეგით —
50,0 გაცურა. სხვადასხვა დისტან-
ციებზე პრიზიორები გახდნენ ა.
ალბინიანი, ვ. ვერბოვინა, ნ.
სტაშევსკი, ი. გლოვსკი, გ.
ლოვსკი, ვ. კოვალენკო და ნ.
წილოსანი პირველდ შეასრუ-
ლეს სპორტის ოსტატობის კან-
დიდატის ნორმატივი. განსაკუთ-
რებული წარმატება ხვდა გ. ლო-
ვინკის, რომელმაც პირველდ
შეასრულა სპორტის ოსტატობის
ნორმატივი 800 მეტრზე ფარ-
გლებით (ცურვაში — 8:25,9).

იანვრის ბოლოს კი აზერბაიჯან-
ელმა სპორტსმენებმა იასპარე-
ზეს ჩვენი რესპუბლიკის ლი-
ა ჩემპიონატში, რომელიც მონაწი-
ლეობდნენ აგრეთვე თბილისის
დღისაფის საზღვაო სკოლის, საქარ-
თველოს სახელმწიფო ფიზკულ-
ტურის ინსტიტუტის სტუდენტ-
ები, სპორტკლუბების — „დუ-
ლინის“, „რუსალკას“ და „ბა-
რაკულას“ მოცურავეები.

587 ქულით გაიმარჯვეს თბი-
ლისის დღისაფის საზღვაო სკო-
ლის სპორტსმენებმა (მწვრთნელ-
ი გ. სტაშევსკი და რ. ბაკურაძე).
II ადგილზე გავიდნენ აზერბაი-
ჯანელი სპორტსმენები — 562,
მესამეზე — ფიზკულტურის ინს-
ტიტუტის სტუდენტები — 493.

შესანიშნავად იასპარეზა აზერ-
ბაიჯანის გუნდის წევრმა ი. გრი-
ვენკომ. მან გაიმარჯვა 100 და 400
მეტრზე ფარგლებით და 100 მ
წყალქვეშა ცურვაში. ფარგლებით
200 მეტრზე (ცურვაში — პირველი
იყო მ. მაიაძე, ხოლო საპირფარ-
გო ადგილზე კვლავ გ. ლოვინკი).
სტაშევსკი, ვ. ვერბოვინა გავი-
დნენ. სხვათა შორის, ვ. ვერბო-
ვინამ 500 მ ყვირთვა — 20,4
100 მ წყალქვეშა ცურვა — 48,0)
რესპუბლიკური რეკორდი დამ-
ყარა.

გ. ლოვინკიმ 400 მეტრზე ფარ-
გლებით (ცურვაში) პირველდ
შეასრულა სპორტის ოსტატის
ნორმატივი — 4:02,8. ოსტატობის
კანდიდატის ნორმატივი შეასრუ-
ლეს მ. დანელიშვილმა და ი. გო-
ლემბიევსკიამ (100 მ ფარგლ-
ებში).

საინტერესოდ ჩატარდა ფარგ-
ლებით 4X100 და 4X200 მეტრზე
ბზე ესტაფეტები. აქ წარმატება
მიიღწიეს სტუდენტმა და თბი-
ლისის დღისაფის საზღვაო სკო-
ლის სპორტსმენებმა.

ბ. კოვალენკო,
საკავშირო კატეგორიის მსა-
ჯი.


● იუნორთა ზამთრის საკავშირო პირველობა

გუშინ თბილისის „განთი-ლის“ მძლეოსნობის სასახლეში სტარტი აიღო წლევედელ სეზონში ერთ-ერთმა დიდმა საკავშირო შეჯიბრებამ — იუნორთა ზამთრის პირად-გუნდურმა პირველობამ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნაკრებ კოლექტივებს შორის. ტურნირში ძალას ცდის 24 გუნდის 500-ზე მეტი მძლეოსანი, რომელთა შორის არიან ქვეყნისა და კონტინენტის ჩემპიონატის პრიზიორები და რეკორდსმენები, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატები.



დილით გაიმართა საკვალიფიკაციო შეჯიბრებები, ხოლო საღამოს ჩატარდა ფინალები და პირველი გამარჯვებულნიც გამოვლინდნენ.

ამ ფოტოებზე სწორედ პირველი დღის ასპარეზობათა მომენტებია აღბეჭდილი. ზედა მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ ლენინგრადელ ე. რუსაკოვას სიგრძეზე ხტომის დროს. იგი ამ შეჯიბრებაში „ბურევესტნიკის“ ინტერესებს იცავს; მეორე სურათი მოგვითხრობს 60 მეტრზე მორბენალ ვაჟთა ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ. ქვედა მარცხენა სურათზე — 60 მეტრზე მორბენალ ქაბუთა სტარტი; სამხეტომელი ს. ტარასოვი (სოფლის სპორტსაზოგადოებების ნაკრები) შეჯიბრების დროს.

ჯ. კასრაძის ფოტოები.



გუშინ „განთილის“ მძლეოსნობის სასახლეში



სხვადასხვა მერიდიანზე

ჩრდილოეთის ნახევარსფეროზე მძლეოსნები (ფოტოებზე) ცდი-ან ძალისხმევას სპორტში, სტალინის ბილიკებზე მუდამ ხალხმრავლობა.

ზენტენბერგში გაიმართა გდრის ზამთრის პირველობა. მისმა მონაწილეებმა მაღალი შედეგები მოიპოვეს. თავი განსაკუთრებით გამოიჩინა მ. გიორმა. მან 60 მეტრზე (7,1) ევროპის მიღწევა დაამყარა, ხოლო 100 იარღზე (10,29) მსოფლიო მიღწევის ავტორი გახდა.

ლინკოლნში (აშშ) იამაიკელმა მ. ოტიმ 300 იარღზე რბენაში მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 34,13.

მელბურნის ოლიმპიურ სტადიონზე ე. კონორი (დიდი ბრიტანეთი) სამხტომში მოასპარეზეთა შორის პირველი იყო — 17,20. აქვე მისმა თანამემამულე ა. სანდერსონმა მოიგო ქალთა შეჯიბრება შუბლის ტყორცნაში — 60,80 მ.

ტორინტოში მსოფლიო მიღწევის ავტორი გახდა კანადელი ქალი ა. ტეილორი. მან 300 მეტრი 37 წამში დაფარა.

ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში მიღწე რბენაში მსოფლიო რეკორდს დაეფუძლა ამერიკელი ქალი მ. ბევერი — 4.21,7. ეს შედეგი 0,4 წამით სჯობს რუმინელი ნ. მარაშესკუს აღწერილ მიღწევას. ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე იმარჯვა ახალზელანდიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯ. უოკერმა — 3.54,03.

საქართველო სტუმრებს ელოდება

— ოლიმპიადა-80-ის წინ თბილისში გაიმართება მეორე მსოფლიო სამეციკლიზო ჯონკარის „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში“. — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სპორტოდასახეშირო სააქციო საზოგადოება „ინტერპრესის“ თბილისის განყოფილების მმართველმა ზ. მახარაძემ. ამ ფორუმზე ჩამოვა დაახლოებით 1200 მეციკლიზი, სპორტის, სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე.

ბოლო წლებში საქართველოში ტურისტთა მოზღვაობა გამოწვეულია მზარდი ინტერესით ჩვენი რესპუბლიკისადმი, ეკონომიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში და ჯოჯოხეთში, მისი მიღწეულობისადმი. პირადი კონტაქტები, უშუალო ურთიერთობა რესპუბლიკის სპორტმართმფარეგ მცხოვრებლებთან დაეხმარება დარწმუნდნენ, რომ საქართველოში პარტიის ლენინური ერთგული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უდიდესი ცვლილებები მოხდა ცხოვრების ყველა სფეროში.

● არაოგარამს სთავაზობს „ინტერპრესი“ საქართველოში ჩამოყვანილ ოლიმპიურ სტუმრებს?

— ეს პროგრამა შეიქმნა საქართველოს სპორტკომიტეტთან ერთად. სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ ნახონ თბილისის სპორტული ნაკრებები, მონაწილეობა მიიღონ მრავალი მაგიდის გარშემო საუბარში თქვენზე — „სპორტული საქართველო“. შეხვედრები ექნებათ ცნობილ სპორტსმენებს. გათვალისწინებულია ექსკურსიები მცხეთაში, ფასანაურში, ყაზბეგში, ბაკურიანში, თელავში, სხვა ღირსშესანიშნაუ ადგილებში. უცხოელი ტურისტები ნახავენ თბილისის თეატრების საუკეთესო სპექტაკლებს, დაათვალიერებენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხელოვნების, ხალხთა მემკვიდრეობის მუზეუმებს, ჯერისა და მეტეხის ტაძრებში სტუმრები დაესწრებიან ძველი ქართული საგანმანათლებლო და ჟღერების კონკერტებს.

— დარწმუნებული ვარ, — თქვა დასასრულს ზ. მახარაძემ, — რომ უცხოელი ტურისტები, რომლებიც საქართველოს ოლიმპიურ წელს ეწევიან, ჩვენი ცხოვრების გულგრილ მითვალყურეობა არ დარჩებიან. სინდისი და ადამიანი ენება მათ სიმართლეს ათქმევინებს საბჭოთა ცხოვრების წესის შესახებ. (საქინფორმის).

დავითი იქიდან, რომ ზამთრის პირველი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს ეს წოდება გამარჯვებულმა მხოლოდ 17 თვის შემდეგ მიანიჭეს და ამ აღიარებას ნახევრად ოფიციალური ხასიათი ჰქონდა. საქმე ის იყო, რომ დიდი ხნის განმავლობაში თეთრი ოლიმპიადების გამართვის წინააღმდეგ იყვნენ სკანდინავიელები, რომლებსაც არცთუ უსაფუძვლოდ ეწინააღმდეგებოდათ დაჩრდილვდა მათს ტრადიციულ ჩრდილოეთის თამაშებს. საჭირო გახდა ეშმაკობა. 1924 წლის იანვარში შამონში (საფრანგეთი) საფრანგეთის, შვეიცარიისა და კანადის წარმომადგენელთა წინადადებით გაიმართა შეჯიბრება ასეთი სახელწოდებით — „საერთაშორისო სპორტული კვირეული VIII ოლიმპიადის გამო“. ამ ასპარეზობის (რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 16 ქვეყნის სპორტსმენებმა) უდიდესმა წარმატებამ აიძულა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მიეტოვა ამ საქმისათვის ყურადღება. და აი, სოკის 23-ე სესიაზე, რომელიც 1925 წლის მაისში პრაღაში გაიმართა, საკითხი დადებითად გადაწყდა. ამგვარად, ზამთრის შეჯიბრებას მიენიჭა ოლიმპიურის სახელი.

არანაკლები საზრუნავი გაუჩნდათ მომდევნო ოლიმპიადის მასპინძელსაც. სანკტ-მორიცის რაიონი ცნობილი იყო ზამთრის მღვრადი კლიმატით, მაგრამ მოციგურავეთა ასპარეზობის დაწყების წინ დაიქროლა ალბურმა თბილისი. ამინდი მეკეტოდა შეიცვალა. ტემპერატურა +25 გრადუსამდე ავიდა. ნაციგურათ ტბას დაემსგავსა. თბილისი გარშემო შემდეგ ასპარეზობა შეწყდა. ორგანიზატორებმა მედლები გაანაწილეს 7 სპორტსმენს შორის, რომლებმაც შეძლეს დისტანციების დამთავრება. ამ გადაწყვეტილებამ პროტესტი გამოიწვია და ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ შედეგად დაეკისა და სპორტსმენებს მედლები ჩამოართვეს. ამერიკელებს კი ასეთი გადაწყვეტილება არ აწყობდათ, რამდენადაც მათმა თანამემამულემ ირვინგ ჯეფერმა პირველ გარბენში საუკეთესო შედეგი აჩვენა. სამაგიეროდ ზეიმობდნენ კანადელები, რომელთა პოკისტა გუნდმა ფინალში ოთხ გამარჯვება მიიღწია საერთო ანგარიშით — 38:0.

უკიდურესად არაორგანიზებულად ჩატარდა ზამთრის III თამაშები ლეიკ-პლასიდში. ეს იმიტომ მტკიცდება, რომ ოფიციალური შედეგები გამოქვეყნდა ოლიმპიადის დახურვიდან ორი წლის შემდეგ. სასაცილო იყო მოციგურავეთა ასპარეზობა. საერთოდ მიღებული სტარტების (წყვილად ცალკეულ ბილიკზე) ნაცვლად, ამერიკელებმა მოითხოვეს

საერთო სტარტები. მძლეოსნების მსგავსად მოციგურავეები გამოდიოდნენ მეოთხედფინალებში, ნახევარფინალებსა და ფინალებში. საერთო სტარტიდან მუშტებითა და იდაყვებით იკვლევდნენ გზას გამარჯვებისაკენ. სწორედ ამიტომ გათამაშებული 12 მედლიდან ევროპელებს მხოლოდ ორი ერგოთ, თუმცა ყინულზე გამოვიდნენ ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც იყვნენ ი. ბალანგრუდი და კ. ტუნბერგი. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის შემდეგ იქვე გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ჩვეულებრივი, საერთაშორისო წესის მიხედვით ჩატარდა, ამერიკელები დამარცხდნენ სკანდინავიის ქვეყნების მოციგურავეებთან.

პატარა საკურორტო ქალაქ კორტინა-დ'ამპეცოს ხედავ პატივი ახალი ერა გაეცხნა ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში. 32 მონაწილე ქვეყანას შორის აქ პირველად გამოვიდნენ საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენები. ძალზე მაღალი შედეგი აჩვენეს მოციგურავეებმა 1500-მეტრიან დისტანციაზე. პირველივე გარბენში ფინელმა ტ. სალონენმა დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი. თითქმის ყველა მომდევნო წყვილმა გადააჭარბა ეროვნულ რეკორდებს. ბევრნი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სალონენი გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი. ასევე გადაწყვიტა გაზეთ „ფრანს სუარის“ კორესპონდენტმა, რომელმაც არ დაუტყდა ბოლო გარბენებს და რედაქციას

მეორეზე. პირველ ადგილზე გავიდა 27 წლის ავსტრიელი იოზეფ შტიგლერი, რომელსაც ხელმძღვანელები დიდხანს არ აყენებდნენ გუნდში. იგი სათადარიგო იყო ამ სახეობაში. ოთხი წლის შემდეგ ჟან-კლოდ კილი აღიარებული იქნა გერმანიის X ოლიმპიური თამაშების საუკეთესო სპორტსმენად: მან მოიპოვა სამივე ოქროს მედალი, რომელიც სამთომთხილამურეებმა გაითამაშეს.

საბოლოო XI ოლიმპიადაზე კინადამ კილის ვმრობა გაიმყარა ნაკლებად ცნობილი სამთო მოთხილამურე, შვეიცარიელმა მარიტერაზ ნადიგმა. არც ერთ ოლიმპიურ პირობაში არ იყო მისი სახელი ნახსენები. ნადიგა არ აუღელვებია იმას, რომ კენჭისყ-

თ ა თ რ ი ოლიმპიადების კურორტები

ლეიკ-პლასიდის XIII ზამთრის თამაშების გახსნამდე 1 კვირაა



მომდევნო ოლიმპიადას, რომელიც გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტენკირხენში გაიმართა, ფაშისტების აზრით, მთელი მსოფლიოსათვის უნდა დაემტკიცებინა „მესამე რაიხის სიდიადე“ და რამდენადაც მეტი ყურადღება ექცეოდა პოკისტთა ტურნირს, მათ გადაწყვიტეს გაეძლიერებინათ იგი. ამასთან დაკავშირებით თავიანთი სპეციალური ნებართვით მასში შეყვანილი იქნა ორი „არა-აროვსკი“. გერმანიის ნაკრები მაინც სუსტად გამოვიდა და ფინალში ვერ მოხვდა. დამნაშავეთა ძებნა არ გასჭირვებია. ბოლო და ობრანოვსკი საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდნენ.

მაშინ არაფერ იცოდა, რომ თამაშების დახურვისას ჩამქრალი ოლიმპიური ცეცხლი არ აინთებოდა მთელი 12 წლის განმავლობაში. მხოლოდ 1948 წელს შეიკრიბნენ თავიანთ მთრიგ ფორუმზე სპორტის ზამთრის სახეობის თაყვანისმცემლები. სანკტ-მორიცის ოლიმპიურ თამაშებზე ერთადერთი ოქროს მედალი მოუტანა ფინეთის ორკიდელმა ხ. ხასუმ, რომლის წარმატებაც ბევრმა მოულოდნელობად მიიჩნია. მაგრამ ოთხი წლის შემდეგ ოსლოს თეთროლიმპიადაზე იგი კვლავ დარწმუნვულად გამოვიდა და „ოქრო“ მოიპოვა 4X10 კმ ესტაფეტაში და „ვერცხლი“ — ორკიდში. ხასუმდენად პოპულარული გახდა ფინეთში, რომ იგი სეიმში აირჩიეს. დოლომიტის ალპებში მდებარე

შეატყობინა შეჯიბრების „შედეგები“. მეორე დღეს „ფრანს სუარი“ გამოვიდა ასეთი სათაურით: „ფინელმა ტოივო სალონენმა მოიგო 1500 მ!“. „ფრანს სუარი“ ერთადერთი გაზეთი იყო მსოფლიოში, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა მიანიჭა სალონენს, როცა ეს ტიტული ახალი მსოფლიო რეკორდით მოიპოვეს საბჭოთა მოციგურავეებმა ევგენი გრიშინმა და იური მიხაილოვმა. საციგურაო სპორტის ისტორიაში პირველად ერთი ქვეყნის ორმა სპორტსმენმა, სხვადასხვა გარბენში ერთნაირი შედეგი აჩვენა. სალონენმა III ადგილზე გადაინაცვლა.

სპორტში ყველაფერი ხდება, მაგრამ, სკოლა-ველში მოციგურავეთა ასპარეზობაზე მომხდარმა ფაქტმა ყველაფერს გადააჭარბა. 3000 მეტრზე რბენის დროს უხეშად შეცდნენ ამერიკელი მსაჯები. ფინელი ი. სახვონენისა და კანადელი დ. რაინის რბენის დროს გამოჩნდა ზარის ხმა და მონაწილეები აიძულეს შედგენი წარებინათ. ჩვენმა მწვრთნელებმა პირველებმა შეამჩნიეს შეცდომა და დროის გამოთვლის შემდეგ სახვონენმა მ ადგილით წინ გადაინაცვლა.

1964 წელს ინსბრუკის ოლიმპიადაზე ფრანგები იმედოვნებდნენ სლოლოში გამარჯვებას. მათს გუნდში გამოდიოდნენ გი პერია, ფრანსუა ბონლი და ჟან-კლოდ კილი. მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. პერია და ბონლი დაეცნენ პირველ ცდაზე, კილი —

რით „უიღბლო“, მე-13 ნომერი შეხვდა. ჯერ მან მოიგო სწრაფ-დაშვება, შემდეგ გიგანტური სლალომი და ეცადა მესამედ ასულოყო საპატიო კვარცხლებზე, მაგრამ სლოლოში ტრასაზე იგი დაეცა, რამაც ხელი შეუშალა გამხდარიყო სამი მედლის მფლობელი პირველი სამთომთხილამურე ქალი.

დაიხ, რაღაც პატარა დასანანი შემთხვევა და მთელი მონდომება წყალში ჩაიყარა. ასეთი „ღრამე-ღრამე“ არაერთხელ მომხდარა. მათ შორის ინსბრუკის XII თამაშების ტრასებზე. ინსბრუკში ყველაზე მეტად სპორტსმენები გრიშინს გამოეზარადნენ. გრიშინმა მნიშვნელოვანად შეამცირა მედლის პრეტენდენტთა რიცხვი. ზოგიერთები, ავადმყვანების მიუხედავად გამოდიოდნენ სტარტზე. ასე მოიქცა ჩეხოსლოვაკის პოკისტთა ნაკრების კაპიტანი ფ. პოსპიშოლი. მაგრამ ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ნაკრების მატჩის შემდეგ დომინანტ შემოქმედებზე პოსპიშოლს აღმოაჩნდა უმნიშვნელო რაოდენობის კოდინი. სოკ-მა გააუქმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების გამარჯვება. ცხრილში შემთხვევა ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიას არ ახსოვს.

ნეტავ რა სიურპრიზებს გვიმზადებს XIII ოლიმპიადა? 2. სტუმრები.

● ფეხბურთი

სსრ კავშირის თასი

თბილისის ფეხბურთი

კალენდარი

როგორც ცნობილია, თბილისის დისასრულს დაიწყო ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონალური ტურნირები. ერთ-ერთი მათგანი გაიმართება თბილისში. ისე, როგორც შარშან, ზონებში თამაშები იწარმოებს წრიული სისტემით, ხოლო გამარჯვებულები ბრძოლას განაგრძობენ ოლიმპიური წესით. თბილისის ზონაში არიან შემდეგი გუნდები: „დინამო“ (თბილისი), „ქაირათი“ (ალმა-ათა), „ტორპედო“ (ქუთაისი), ასკ (ოლესა), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) და ასკ (ხაბაროვსკი).

გათამაშების კალენდარი ჩვენს ზონაში ასეთია:

27 თებერვალი

„დინამო“ (თბილისი) — ასკ (ხაბაროვსკი)
„ქაირათი“ (ალმა-ათა) — ასკ (ოლესა)
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)

1 მარტი

ასკ (ხაბაროვსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)
ასკ (ოლესა) — „ტორპედო“ (ქუთაისი)
„დინამო“ (თბილისი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა)

4 მარტი

„ქაირათი“ (ალმა-ათა) — ასკ (ხაბაროვსკი)
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი)
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — ასკ (ოლესა)

7 მარტი

ასკ (ხაბაროვსკი) — ასკ (ოლესა)
„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)
„ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ტორპედო“ (ქუთაისი)

10 მარტი

„ტორპედო“ (ქუთაისი) — ასკ (ხაბაროვსკი)
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ქაირათი“ (ალმა-ათა)
ასკ (ოლესა) — „დინამო“ (თბილისი)

თასის მატჩები მოეწყობა თბილისის „დინამოს“, თბილისის „ლოკომოტივის“ და რუსთავეის „მეტალურგის“ სტადიონებზე, სათადარიოდ გამოყოფილია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი. მონაწილე გუნდებს ზრუნვას არ მოაკლდება შეფები. ფეხბურთელებს ექნებათ წვდომა და დასვენების ყველა პირობა იმუშავებს პრეს-ცენტრი.

სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლას თითოეული ზონიდან გადამავს 2-2 გამარჯვებული გუნდი. მერვედღიანი მატჩები გაიმართება 15 მარტს, მეოთხედღიანობა — 30 მარტს, ნახევარფინალები — 30 მაისს, ხოლო ფინალური მატჩი შედგება 9 აგვისტოს.

სუპერთასი — ინგლისელებს

დამთავრდა ევროპის სუპერთასის გათამაშება ფეხბურთში. საპატიო პრიზი წილად ხვდა ინგლისის „ნოტინგემ ფორესტს“, რომელმაც განმეორებითი მატჩი ესპანეთში ფრედ ითამაშა „ბარსელონასთან“ — 1:1. პირველი თამაში ინგლისელებს შინ, როგორც ცნობილია, მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:0.

განმეორებითი მატჩი უკიდურესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ანგარიში 25-ე წუთზე პენალტით გახსნა „ბარსელონაში“ მოთამაშე ბრაზილიელმა ფეხბურ-

თელმა რობერტომ. ტაიმის ბოლო წუთებზე სპასუხო გოლი გაიტანა ბარსამ.

ევროპის სუპერთასის გათამაშება წარმოებს 1972 წლიდან კონტინენტის, ქვეყნების ჩემპიონსა და თასების მფლობელთა თასის მფლობელებს სხვადასხვა დროს იყვნენ ამსტერდამის „აიაქსი“, კიევის „დინამო“, ბრიუსელის „ანდერლექტი“ და ინგლისის „ლივერპული“.

იხილეთ

კეპენის მრავალჯერ ჩემპიონი „იუვენტუსი“, რომლის სუსტი თამაში პირველი წრის დიდი მოულოდნელობა იყო, მეორე წრის დასაწყისში ნელნელა იუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას. ამჯერად, მიმომხილველებს მიანიშნავს, რომ ეს „გარსკვალავების გუნდი“ (ძოფი, ბეტეა, კუზო, შირა, კაბრინი, ჯენტილე, ტარდელი, კუარუდელი) მაინც ვერ გაუწევს ჯეროვან კონკურენციას ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშეებისგან შემდგარ „ინტერს“.

XVIII ტურში „ინტერი“ რომში თამაშობდა „ლოკოსთან“. ანგარიში არ გახსნილა — 0:0. ექსპერტები აქებენ „ინტერის“ მეტად ბოროტს, მცდელობებს ორი-ალისა და ბინის, შუა ხაზის მოთამაშეებს პასინატოსა და ბეკასოლის, განსაკუთრებით კი ცენტრფორვარდ ალტობელის, რომელმაც უკვე 10 ბურთი გაიტანა.

სხვა მატჩები: „იუვენტუსმა“ სტუმრად დაამარცხა „პესკარა“ — 2:0, „მილანი“ შინ ასეთივე ანგარიშით მოუგო „კალიარის“, „უდინეზე“ დამარცხდა (1:2) „პერუჯასთან“, „ტორინო“ — „ავილინი“ — 2:2, „ბოლონია“ — „რომა“ — 1:1, „კატანცარო“ — „ასკოლი“ — 1:1, „ნაპოლი“ — „ფიორენტინა“ — 0:0.

XVIII ტურის შემდეგ „ინტერს“ 26 ქულა აქვს, „მილანს“ — 22, „პერუჯას“ — „რომას“ — 20-20, „იუვენტუსს“ და „ავილინოს“ — 19-19.

ესპანეთი

გრძელდება დიდი მეტოქეობა ბასკების კლუბ „რეალს“ (სან-სებასტიანი) და ესპანეთის მრავალჯერ ჩემპიონს — მადრიდის „რეალს“ შორის. მადრიდელები კარგა ხანს წინ იყვნენ, მაგრამ შემდეგ ბასკების მხარეში თამაშისას თავიანთ ქულებს ვერაფერი მიუმატეს: ჯერ სასტიკად დამარცხდნენ სან-სებასტიანში — 0:4, შემდეგ კი წააგეს ბილბაოს „ატლეტიკთან“ — 0:3.

XVIII ტურში „რეალმა“ (სან-სებასტიანი) სტუმრად ფრედ — 1:1 ითამაშა ლას-პალმასში „უნიონთან“ და 27 ქულით შეინარჩუნა ლიდერობა. სანტეგრესო, რომ ბასკების გუნდი გათმავდა, სია ესპანეთის პირველ ლიგაში, ვინაიდან არა ჰყავს უცხოელი ვარსკვლავები. სან-სებასტიანის კლუბს დიდ ყურადღებას აქცევს ნაკრების მწვრთნელი ლ. კლუბ-

ლა. გუნდში გამოირჩევიან მეტად აკონადა, მცველი ცელოიერა, შუა ხაზის მოთამაშეები დიეგო და ზამორა, თავდამსხმელები სატრუსტეგი და ლოპეს უფარტე. მადრიდის „რეალმა“ კიდეც წააგო, ამჯერადაც გასვლაზე, „ავილინისთან“ — 0:2 და ახლა 26 ქულით მეორე ადგილზეა. მადრიდელებს ბრწყინვალე თავდასხმა ჰყავთ: ხუანიტო (გაიტანა 6 ბურთი) — სანტილიანა (10 ბურთი) — კანინგემი (5), ძლიერი შუა ხაზი შტილიკეს, დელბოსკესა და ანხელის შემადგენლობით, სამაგიეროდ, ძალზე სუსტად თამაშობს დაცვა, რომელმაც უკვე 23 ბურთი გაუშვა.

24 ქულით მესამე ადგილზეა ხიხინოს „სპორტინგი“, რომლის

რეალისა და პესკარის ნიშნები

ცენტრალურმა თავდამსხმელმა კინიმ 16 ბურთი გაიტანა.

ყურადღებას იპყრობს „ბარსელონას“ სუსტი შედეგები — იგი 19 ქულით მხოლოდ მე-7 ადგილზეა.

გზა

მიუნხენის „ბაიერნი“ ისევ გაუთანაბრდა „ჰამბურგერ შპორტკლუბს“, თუმცა ჰამბურგელებმა ერთი ბურთის უპირატესობით სატურნირო ცხრილში მაინც ინარჩუნებენ ლიდერობას.

XIX ტურში „ბაიერნი“ შინ სძლია „შალკე 04“-ს — 3:1, ხოლო „ჰამბურგერ შპორტკლუბთან“ სტუმრად ფრედ ითამაშა „ბორუსიასთან“ (მიუნხენგლუბანში) — 2:2. ახლა ლიდერებს კიდევ ერთი მეტოქე გაუჩნდათ „კილინი“, რომელმაც შინ მოუგო დორტმუნდის „ბორუსიას“ — 4:1.

სხვა მატჩები: „ჰერტა“ (დას-ბერლინი) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 3:0, დუისბურგი — „აინტრაქტი“ (ბრაუნშვაიგი) 0:0, „აიზერ-სლაუტერნი“ — „შტუტგარტი“ 2:1, „აინტრაქტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „ფორტუნა“ (დისელდორფი) 1:2, „ვერდერი“ (ბრემენი) — „მიუნხენ 1860“ 4:6, „ბოხუმი“ — „ბაიერი“ (უერდინგენი) 1:0.



ციმბირის ქალაქ ტოლსკში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ბავშვთა სპორტული კლუბები „ოლიმპი“ და „ფაკელი“, რომლებიც შექმნილია ნავთობქიმიური კომპლექსის საცხოვრებელ მიკრორაიონებში და 1500-მდე მოზარდს აერთიანებენ. სურათზე: სპორტის ოსტატი ნ. მარანოვა რამდენიმე წელია „ფაკელს“ ხელმძღვანელობს; ნორჩი კარატისტები ვარჯიშზე; „ერმაის“ პოეზიები.

საკდების ფოტოები.

● ჩოგბურთი

10 საუკეთესო

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა თანამედროვეობის 10 უძლიერესი მოთამაშის სია.

1. ბიორნ ბორგი (შვეიცია) — 2367 ქულა, 2. ჯონ მაკინროსი — 2209, 3. ჯიმი კონორსი — 2043, 4. ვიტას გერულაიტისი — 1707, 5. როსტო ტანერი (თხიხი — აშშ) — 1439, 6. გილერმო გილასი (არგენტინა) — 1242, 7. ხოსე იგუერასი (ესპანეთი) — 1193, 8. პაროლ სალომონი — 1060, 9. ედი დიბსი — 1030, 10. ჯერ მაიერი (სამიე — აშშ) — 994.

კვლავ გორგი

ამერიკელმა ქურნალმა „ტენისმა“ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების სია 1970-80 წლებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

აი, ეს სია: 1. ბორგი (შვეიცია), 2. კონორსი (აშშ), 3. ნიუკომბი, 4. როზუელი (ორივე — ავსტრალია), 5. ნასტასე (რუმინეთი), 6. სმიტი, 7. ეში (ორივე — აშშ), 8. გილასი (არგენტინა), 9. ლიეგერი (ავსტრალია), 10. კოლეში (ჩეხოსლოვაკია).

● ფეხბურთი

● ფიზნის თარო

საჭირო სახელმძღვანელო

საპარტაშო სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების სამმართველო-მეთოდური კაბინეტის დაკვეთით თბილისის უნივერსიტეტის გამო-მცემლობამ გამოუშვა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგის რ. ხვანიჭილის მიერ შედგენილი მეთოდური სახელმძღვანელო (მეთოდური მითითებანი) — „საეკიმიო კონტროლი“.

ცნობილია, რომ როგორც სამედიცინო, ისე ფიზკულტურის ინსტიტუტებში შესაბამისად,

პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზკულტურის ფაკულტეტებზე ფართოდ წარმოებს სპორტული მედიცინის, კერძოდ, ეკიმიო კონტროლის საგნის სწავლება. აღნიშნული საგანი ითვალისწინებს ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინე პირების სამედიცინო შემოწმებისა და საერთოდ, სამედიცინო უზრუნველყოფის საკითხების განხილვას, რომლის ცოდნის გარეშე დღეს არ შეიძლება თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე იმუშაოს როგორც ეკიმიო, ისე ფიზიკური

კულტურისა და სპორტის დარგის მუშაკი. წიგნში განხილულია საეკიმიო კონტროლის ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა: პიოკი-ნეზია და მისი პროფილაქტიკა, სპორტული წერტილი, სპორტსმენთა საეკიმიო შემოწმების თავისებურებანი, ფიზკულტურულ და სპორტსმენთა ფიზიკური განვითარების გამოკვლევა და შეფასება, გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემის ფუნქციური სინკები, საეკიმიო-პედაგოგიური დაკვირვება, სპორტული პათოლოგია და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სპორტსმენთა ფუნქციური გამოკვლევის მეთოდები — ფუნქციური სინკები, რომლებიც ავტორს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აქვს მოცემული. სახელმძღვანელო კარგი შენაძენია, როგორც ჩვენი სტუდენტების, ისე ეკიმიების, მწვრთნელებისა და ფიზიკური აღზრდის პედაგოგებისთვის.

პ. მათიაშვილი,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

9-10 თებერვალი

ქართული ჰილოზა

გორის საპილაო დარბაზი

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირები 1960-1961 წლებში დაბადებულ ოქროსთა შორის. შეჯიბრებაში, რომელიც უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეძღვნება, მონაწილეობენ: აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თელოვის, ახმეტის, საგარეჯოს, კასპის, ლუშეთის, ქარელის, გარდაბნის, სამტრედიის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, ლენტეხის, მესტიის და სხვა რაიონების ნაკრები გუნდები. დასაწყისი, 12 საათზე.

რედაქტორი პ. ბასილაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპუტატთა — თბილისი, „ლელო“, რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-17; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრების — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მექანკანები — 93-97-57.